სკოლის ფილოსოფია

მისია

გიმნაზიის მისიაა მოსწავლეებს შესთავაზოს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, აღზარდოს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, მართლმადიდებლური ღირებულებების მქონე თავისუფალი, ტოლერანტი მოქალაქე, რომელიც შეძლებს საკუთარი კულტურის წარმოჩენასა და საზოგადოების წინსვლაში წვლილის შეტანას.

ხედვა

გიმნაზიის ხედვაა, აღიარებულ იქნეს საქართველოში ლიდერ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების გზით ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესსა და მუდმივ განვითარებაზე.

ღირებულებები

ტოლერანტობა	მხარდაჭერა	პასუხისმგებლობა
სამართლიანობა	გუნდურობა	გამჭვირვალობა

სკოლის ფილოსოფია

მისია

გიმნაზიის მისიაა მოსწავლეებს შესთავაზოს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, აღზარდოს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, მართლმადიდებლური ღირებულებების მქონე თავისუფალი, ტოლერანტი მოქალაქე, რომელიც შეძლებს საკუთარი კულტურის წარმოჩენას, საზოგადოების წინსვლასა და საქართველოს მსოფლიო ინტეგრაციაში წვლილის შეტანას.

ხედვა

გიმნაზიის ხედვაა აღიარებულ იქნეს საქართველოში ლიდერ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების გზით ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესსა და მუდმივ განვითარებაზე.

ღირებულებები

- **ტოლერანტობა** - სკოლა ორიენტირებულია, დაამკვიდროს კულტურული მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, რელიგიური, ეთნიკური და სხვა ნიშნით განსხვავებული ადამიანებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება.
- **სამართლიანობა** - სკოლა პატივს სცემს თითოეული პიროვნების უფლებებს, იცავს გამოხატვის თავისუფლების პრინციპს, ხელს უწყობს ურთიერთგაგებასა და პატივისცემას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის;
- **პასუხისმგებლობა** - განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ყველა თანამშრომელი ითავისებდეს საკუთარ პასუხისმგებლობას და მაღალი ხარისხით ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას;
- **გამჭვირვალობა** - სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესთან მიმართებით სკოლა არის ღია და მისი ღიაობა აისახება შესაბამის პროცედურებსა და საინფორმაციო საშუალებებში (სკოლის ვებგვერდი, სოციალური ქსელი);
- **მხარდაჭერ**ა-ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სიახლეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და კარიერული შესაძლებლობების შეთავაზების გზით;
- **გუნდურობა** - სკოლისათვის პრიორიტეტია, რომ მისი საქმიანობის დაგეგმვა, წარმართვა, შეფასებაში ჩართული იყოს სასკოლო საზოგადოება და მათ ჰქონდეთ სკოლის განვითარების საერთო ხედვა, რომელიც ორიენტირებული იქნება მისიასა და მიზნებზე;